


# ხაშურის მთაშუა



№3 (84)

23 იანვარი, ორშაბათი, 2017 წელი



## პატარა ფლევი სასმელი წყლის პრობლემა მოგვარებულია

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი გურასპაშვილი, გამგეობის წარმომადგენლებთან ერთად, სოფელ პატარა ფლევი მოსახლეობას შეხვდა და დასრულებული ინფრასტრუქტურული პროექტი დაათვალიერა, კერძოდ, ჭაბურღილისა და წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოები.

სოფელ პატარა ფლევი წყალმომარაგების სისტემის არარსებობის გამო, მოსახლეობა წყაროს წყლით და რამდენიმე არტეზიული ჭით სარგებლობდა, ამიტომ მუნიციპალიტეტის გამგეობამ აღნიშნულ სოფელში წყლის სისტემის მოწყობა აუცილებლობად მიიჩნია, რათა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობები გაუმჯობესებულიყო. აღნიშნული სამუშაოებისთვის 184 998 ლარი გამოიყო და ამ დროისთვის მოსახლეობა უკვე 24 საათიანი წყალმომარაგებითაა უზრუნველყოფილი.

## ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის 2016 წლის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრისთვის გასული 2016 წელი განსაკუთრებული აქტივობებით გამოირჩეოდა, წარმოგიდგინო შესრულებული სამუშაოების არასრულ ჩამონათვალს, რომელიც ვფიქრობთ, საინტერესო იქნება მკითხველისათვის:

განხორციელდა სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებებიდან 3000-მდე სხვადასხვა ინფორმაციის მიღება, შეგროვება, დამუშავება და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის, სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისათვის, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოსათვის, სსიპ განათლების ხარისხის მართვის ეროვნული ცენტრისთვის, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრისთვის, სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრისთვის და სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახურისთვის მიწოდება;

• რესურსცენტრის აქტიური ჩართულობით გამოვლინდა 30-მდე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე და განხორციელდა მათი განათლების სრულფასოვან საწავლო გარემოში ინტეგრაციის ხელშეწყობა;

• ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ, 2016 წლის 15 თებერვლიდან 30 მაისის ჩათვლით, განხორციელდა სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული 32 საჯარო სკოლის სასწავლო პროცესისა და გარემოს მონიტორინგი, სკოლებში არსებული პრობლემების (ინფრასტრუქტურა და ინვენტარი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეებთან დაკავშირებული საკითხები, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი საქმიანობა, უსაფრთხოება, ფინანსური ანგარიშგება/აღრიცხვა და ელექტრონული მართვა) იდენტიფიცირებისა და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემის მიზნით, არსებული მდგომარეობის კვლევისა და ანალიზისთვის. სასწავლო პროცესისა და გარემოს მონიტორინგის შედეგების მიხედვით, 2016 წლის ივნისის თვეში, ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრმა განხორციელა გაფართოებული შეხვედრა საჯარო სკოლის დირექტორებთან მონიტორინგის შედეგების თაობაზე და გასცა რეკომენდაციები არსებული სამართლებრივ დავებისა თუ სარეგულაციო საკითხების მიზნით. იმავე თვეში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილ იქნა ანგარიშები, დამადასტურებელი დოკუმენტებით რესურსცენტრის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე. 32 საჯარო სკოლიდან 20 სკოლის მიერ პირველ ეტაპზე ვერ განხორციელდა რეკომენდაციების სრულად შესრულება (ინფრასტრუქტურის, ქონების რეგისტრაციის, ინვენტარიზაციის ნაწილში). 2016 წლის დეკემბრის თვეში, რესურსცენტრის მიერ ხელმოწერილ განხორციელდა შეუსრულებელი რეკომენდაციების შესახებ 20 საჯარო სკოლიდან ინფორმაციის გამოთხოვა, რის (დასასრული V გვერდზე)

## იწყება ორი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება

2017 წელს, როგორც მთავრობის მეთაურმა, გიორგი კვიციანიშვილმა განაცხადა, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მხრივ, გამორჩეული იქნება. გამონაკლისი ამ მხრივ, რა თქმა უნდა, არც ჩვენი მუნიციპალიტეტი



იქნება. მკითხველს ახსოვს, რომ გასულ წელს 150-ზე მეტი პროექტი განხორციელდა. წელს უფრო მეტი იგეგმება და რაც მთავარია, ბევრი მათ შორის მასშტაბურია. როგორც ჩვენთან საუბარში ეკონომიკური სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის განყოფილების უფროსმა გიორგი პაპიაშვილმა განაცხადა, დღეისთვის სამსახური ორი პროექტითაა დაკავებული. უკვე მომზადებულია სატენდერო დოკუმენტაციები და ამ დღეებში ორი ტენდერი გამოცხადდება. პირველი ეხება რკინიგზის კულტურის სასახლის დარბაზის სრულ რეაბილიტაციას. (როგორც ცნობილია, სასახლის გარე ფასადისა და ინტერიერის რეაბილიტაციის სამუშაოები გასულ წელს დასრულდა). ეს დარბაზი და, ზოგადად, სასახლე მართლაც უნიკალურია და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნის მუნიციპალიტეტების ცენტრებში არსებულ სასახლეებს შორის – ერთ-ერთი საუკეთესოც. ტენდერის სავარაუდო ღირებულება (პროექტის) 15 ათას ლარამდეა, თვითონ რეაბილიტაცია კი რამდენიმე ასეული ათასი ლარი დაჯდება. მეორე ტენდერი კი, გვინდა ვახაროთ



მკითხველს, და „ივერის“ სტადიონს ეხება. წინა ადგილობრივი არჩევნებისას, დღევანდელი ხელმძღვანელების ერთ-ერთი დაპირება სწორედ ამ სტადიონს ეხებოდა. დანაპირები სრულდება და ამ დღეებში ტენდერიც გამოცხადდება მის პროექტირებაზე. მისი სავარაუდო ღირებულება 60 ათას ლარზე მეტია. ახალი პროექტით გადაწყვეტილია ძველი სტადიონის დაშლა (მის დაშლაზე ცალკე აუქციონი გამოცხადდება) და ახლის აგება 2000 მაყურებელზე. უკვე აქტიურ ფაზაშია სავარაუდო ინვესტირებთან მოლაპარაკებები. არაა გამორიცხული, რომ მოედნის კეთილმოწყობა თავის თავზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ აიღოს. როგორც ვარაუდობენ, სტადიონის მშენებლობა მთლიანად 3 მილიონ ლარამდე დაჯდება.



# ქვეყნის თავისუფლების საკითხი ცალკეული მინისტრის გადასაწყვეტი არ არის

არ მინდა სახელმწიფოს არსის განმარტების თეორიებში შევიჭრე, მაგრამ იმის აღნიშვნა, რომ სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი ნიშანი შეიარაღებული ძალების ყოლა არის, ამ წერილის შინაარსის გაშლისათვის აუცილებელია.

საქმე იმაშია, რომ გამოჩნდნენ ცალკეული კაპარტყალა მინისტრები, რომლებიც თავს უფლებას აძლევენ, უმაღლეს ხელისუფლებასთან შეთანხმების გარეშე, ერთპიროვნულად მიიღონ სახელმწიფოს არსებობისათვის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებები.

ამის აშკარა დადასტურებაა თავდაცვის ყოფილი მინისტრის თ.ხიდაშელის გადაწყვეტილება გაუქმებინა შეიარაღებულ ძალებში გაწვევა, რის აუცილებლობასაც ასაბუთებდა აბსურდული მოსაზრებით. კი მაგრამ ვის თვლის ეს ქაღალტონი ბრიყვად?

იმ ადამიანთა თავში, ვისაც შეუძლია ამტკიცოს, რომ დღეს საქართველო თავისი ეკონომიკური, შიდა თუ საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით ისეთ დონეზეა, რომ ქვეყნის თავდაცვა შეიძლება მივანდოთ რამდენიმე ათას კონტრაქტორს, ქარი კი არა ქარიშხალი ქრის.

თავს უფლებას მივცემ და ვიტყვი, რომ ასეთი გადაწყვეტილებების მიღება ქვეყნის დაღატაკის თანმიმდევრული, შორსგამიზნული ნაბიჯია და მეტი არაფერი.

ჩვენ გვახსოვს ქადაგებანი, როცა კომპარტიის და კომქვეყნების უმაღლესი თანამდებობის პირები ხალხს უმტკიცებდნენ, რომ ჩვენი დღევანდელი თაობა იცხოვრებს კომუნისტურ, თუმცა როგორც

გები და თეორიულად ისეთი შესაძლებლობანიც დაუშვას, რაც შეიძლება მოხდეს.

მაგალითად: დავეუშვათ და მოხდა, რომ აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებსაც სურთ კონტრაქტით იმსახურონ ჯარში, გაწვევა კი აღარ ხდება, ქვეყანას კი მოუწია სამხედრო კონფლიქტებში ჩართვა, რა მოხდება მაშინ? მოხდება ის, რაზეც მოლაღატენი შენიღბულად ოცნებობენ, ქვეყანა აღმოჩნდება სრულიად დაუცველი და არაბრძოლისუნარიანი.

აქედან დასკვნა: ის ვინც ქადაგებს სავალდებულო სამხედრო სამსახურის გაუქმებას არის:

- ა) პოლიტიკურად ბეცი;
- ბ) ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განადგურების მსურველი;
- გ) ქვეყნის სახელმწიფოებრიობის ძირგამომთხრელი;
- დ) ახალგაზრდობის პატრიოტული გრძობის დამნაშავე;
- ე) ქართველი ხალხის წიაღში საუკუნეების განმანობაში ჩამოყალიბებული და შესისხლხორცებული საბრძოლო ტრადიციების მოსპობის მოსურნე;
- ვ) ეროვნული ინტერესების მოლაღატე;
- ზ) სამშობლოსათვის თავდადებულ და დაღუპულ გმირთა ხსოვნის შეურაცხყოფელი;
- თ) ჩვენი სამშობლოს ისტორიული არენიდან გაქრობის მსურველთა ხელშემწყობი;
- ი) შთამომავლობაში სამშობლოს სიყვარულისა და მისთვის თავდადების გრძობების გამომუშავების მოწინააღმდეგე;
- კ) ახალგაზრდობი პატრიოტული გრძობების გამქრობი ძალის მქდროშე;
- ლ) საქართველოს ფარის, ხმალის და ჯვრის წინააღმდეგ მებრძოლი;
- მ) სამშობლოს სულიერი გამოფიტვის და წინააღმდეგობის გაწვევის გარეშე მტერზე ჩაბარების მოსურნე;
- ნ) ახალგაზრდობის შთაგონებაში სხვისი მოიმედობის ჩამწერგავი;



წიობა იყო კომუნისტური, სკკპ XXII ყრილობამდე განმარტებაც კი არ არსებობდა. გამოჩნდნენ „გუნდისუბი“ და კომუნისტური ახასიათებდნენ როგორც უკლასო საზოგადოებას, სადაც ყველაფერი დაყვანილი იქნებოდა თვითშეგნებასა და თვითმმართველობამდე, აღარ იარსებებდა დანაშაული, სადამსჯელო ორგანოები. შრომა იქნებოდა შეძლების მიღება კი მოთხოვნილების მიხედვით, შრომას დაარეგულირებდა მუსკულების მოთხოვნილება და სიმდიდრე იდენდა წყაროსავით.

კი მაგრამ, ჭკუათმყოფელი ადამიანი ფიქრშიც ხომ ვერ დაუშვებდა მთელ სამყაროში ისეთი ცხოვრების შექმნას, სადაც ჩემია-შენია აღარ იარსებებდა, წაიშლებოდა ყველაფრის ზღვარი და საზღვარი?

წარმოგიდგინათ სახელმწიფო ჯარის გარეშე? ახლა გამოვა ვიღაც კაპარტყალა და დაიწყებს შეტევას, ჩვენ ჯარის არსებობისა კი არა, ჯარში სავალდებულო გაწვევის წინააღმდეგი ვართო და წამოიწყებენ ფანტიკურ არგუმენტებს თუ როგორ ამცირებს, ლახავს და არღვევს ადამიანთა ღირსებას და უფლებებს სამშობლოს სამსახურში იძულებით გაწვევა, ჯარისკაცის ქვეყნისადმი უფასოდ მოქალაქეობრივი ვალის მოხდა და მოიყვანს ისეთ ქვეყნების მაგალითს, სადაც მიმართავენ არა ჯარში გაწვევას, არამედ საკონტრაქტო სამსახურს, თანაც აზრადაც კი არ მოუვათ, რომ ასეთ ქვეყნებში ცხოვრება დულს და გადმოდის, ჩვენთან კი მოსახლეობის უმრავლესობის სადარდებელი სახვადიო ლუკმის შოვნაა.

სადაც მოაზროვნე ადამიანმა გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა განსაჯოს მოსალოდნელი შედეგები

ო) მამა-პაპათა საღავეების გადამხენელი;

პ) სულიერი ღირებულებების არ მცოდნე, არ მქონე, ვერ შეიფასებელი და ფულზე გამყიდველი.

ქ... რ... ს... .. ხ... ჯ... პაე და პეი! საით უბერავთ, კაპარტყალალებო?

ამ ყველაფრის შენიღბულად მქადაგებელი მინისტრები უნდა მოიხსნა, სახალხოდ უნდა მოსრა. ხოლო მის დამნიშნელებს ხმამაღლა უნდა ვუთხრა, რომ საკადრო საკითხები უფრო გონივრულად გადაწყვიტონ.

ზემოთ ნათქვამი და ნაგულისხმევი ეხებოდა მორალურ-ფსიქოლოგიურ ასპექტებს, ახლა შევეხეთ სამართლებრივ კუთხეს და გავცეთ პასუხი კითხვას: აქვს თუ არა უფლება ცალკეულ მინისტრებს ქვეყნის უმაღლეს ხელმძღვანელობასთან შეთანხმების გარეშე, მიიღონ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადაწყვეტილებანი.

აქვე აღვნიშნოთ, რომ დარგობრივი ცალკეული მინისტრების გადაწყვეტილებანი მოქმედებენ მხოლოდ მის დაქვემდებარებაში მყოფ საუწყებო დანაყოფზე, ზოგიერთის გადაწყვეტილებებს კი გავლენა აქვთ მთელ მოსახლეობაზე (ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით). ამის მიხედვით, ზოგიერთი მინისტრის შეცდომა გამოსწორებადია და საზოგადოებაზე უარყოფით გავლენას ვერ მოახდენს, ზოგიერთმა კი შეიძლება ქვეყანა ტრაგედიას გადაეყაროს. მაგალითად: სპორტის მინისტრის შეცდომას სპორტსმენი გამოსწორებს, სოფლის მეურნეობის მინისტრისას - გლეხი, მაგრამ თავდაცვის მინისტრის ბრძანების შეცვლის უფლება მის ხელქვეითებს არ გააჩნიათ, რადგანაც ჯარში დამკვიდრებულია პრინციპი: ბრძანება-კანონია, კანონს კი ვერც გენერალი შეასწორებს და ვერც ჯარისკაცი.

საქართველოს კონსტიტუციის 101-ე მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს: „ქვეყნის დაცვა და სახედრო ვალდებულების მოხდა საამისო უნარის მქონე ყველა მოქალაქის ვალია. სამხედრო ვალდებულების მოხდის ფორმას ახდენს კანონი.“

აქედან გამომდინარე, რა უფლება აქვს თავდაცვის მინისტრს თავისი შესხედულებისამებრ დაამწყსოს სამხედრო ვალდებულების მოხდის ფორმები?

კონსტიტუციიდან გამომდინარე, კანონი ადგენს სამხედრო სამსახურის გავლის ასაკს და მოსამსახურის უნარის ჩარჩოებს, მაგალითად: თუ სამედ

იცილო კომისია, არსებული ნორმატიული აქტების ფარგლებში, აღმოაჩენს, რომ ჯარში გასაწვევი კანდიდატი არ არის ფსიქიკურად დამახინჯებული, მხედველობადაქვეითებული, სმენადაკარგული, ვერ მეტყველებს, არ გააჩნია ხელ-ფეხის კიდურები, დაავადებულია უკურნებელი და მძიმე ფორმებში გადამდები სენით, მოშლილი აქვს კვების მომწველებელი, გულსისხლძარღვთა, შარდსასქესო და სხვა ორგანოები ან აქვს სხვა მრავალი დაავადებანი, მიიღებს გადაწყვეტილებას მისი სამხედრო სამსახურში არ გაწვევის შესახებ. (ე.წ. „დაბრაკვა“)

თუ ახალგაზრდა, თავმოყვარე კაცს ჯანმრთელობის აღნიშნული და სხვა დაავადებები არ აქვს, რატომ უნდა განერიდოს თანატოლებს მიერ საზიადი ტვირთის ტარებას და დარჩეს იმ ლაჩართა შორის, რომლებსაც სამშობლოს დაცვის სამსახურში ყოფნას არასრულფასოვანი, ხეიბარი და მანანხალა ახალგაზრდის სახელის ტარება ურჩევნიათ?

მე რომ ათი ქალიშვილი მყავდეს, ერთსაც კი არ გავათხოვებდი ისეთ მამაკაცზე, რომელსაც ეკუთვნოდა, მაგრამ სამხედრო სამსახური არ გაუვლია და გამოუწვავი თიხის ჭურჭელს ჰგავს.

ჯანმრთელმა, სადაც მოაზროვნე ახალგაზრდამ საცოდეს თავი ჯარისკაცობითაც უნდა მოაწონოს, ეს ხომ მისი ჯანმრთელობის დამადასტურებელია და იმ ცხოვრებისეული სკოლის გაგლითაც, რაც ჯარში სამსახურს ახასიათებს. მრავალთა შორის ესაა:

ა) ძალიან საინტერესო ასაკში ფიზიკური წრთობის მიღებისა და ფსიქოლოგიურად გაწონასწორებული პიროვნების ჩამოყალიბების პროცესის პერიოდი;

ბ) თანატოლებთან ურთიერთობის ფორმის გამოუმუშავების შესაძლებლობა;

გ) უფროსისადმი დამოკიდებულებაში თავშეკაცების გამოუმუშავება;

დ) საკუთარი პიროვნების სხვაზე მაღალა დაუყენებლობა;

ე) არასასურველი, მაგრამ საჭირო, საქმეების მოთმინებით კეთება შენი რანგის სამხედრო მოსამსახურეთა მსგავსად. ეს შეიძლება იყოს მორიგეობის დროს სამზარეულოში მუშაობა, საცხოვრებელი შენობის დასუფთავება-დალაგება, ჭურჭლის გარეცხვა, დაზიანებული ტანსაცმლის წესრიგში მოყვანა, საბრძოლო იარაღის წმენდა-შეხეთვა და ა.შ.

ზ) განწვევაში ყოფნისას საგუშაგოზე ძილთან ჭიოდანი;

თ) მეთაურის მხრიდან შენთვის არასასურველი ბრძანების შესრულება;

ი) დაწვესებული დღის წესრიგის გამო, ადრე ადგომა-დაწოლა, შენთვის არასასურველ დროს საკვების მიღება;

კ) თავისუფალი დროის სიმცირე პრესის ან მედიის სხვა საშუალებების გასაცნობად;

ლ) სპორტულ შეჯიბრებებში შენი სურვილის საწინააღმდეგოდ მონაწილეობის მიღება- მიუღებლობა;

მ) დასვენების დროის უკმარისობა;

ნ) გასართობ ღონისძიებებში მონაწილეობის ვერ მიღება;

ო) საყვარელ და სასურველ ადამიანებთან შეხვედრის სურვილის შეუსრულებლობა.

პ) ... ქ ... რ ... და ა.შ.

ეს ყველაფერი ხელს უწყობს ახალგაზრდა ჯარისკაცის მომავალი ცხოვრებისათვის მომზადებულობის ჩამოყალიბებას, გარემო პირობებისადმი შემგუებლობას, თავშეკაცებულობის და ხელმძღვანელობისადმი თავაზიანი დამოკიდებულების, გაჭირვებაში ჩაგარდნილ თანამემამულეთა გადასარჩენად თავგანწირვის გრძობის გამოუმუშავებას და, რაც მთავარია, შენს საკუთარ მიწაზე მხარგაშლილად სიარულს, იმას, რომ შენ გაქვს მორალური უფლება ამაყად წარმოთქვა იმ მიწა-წყლის და ხალხის სადღეგრძელს, რომელთა სამსახურსაც დაუთმე ახალგაზრდული ცხოვრების მოკლე, მაგრამ ყველაზე საუკეთესო პერიოდი.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვაკეთებ დასკვნას:

სამშობლოს უსასყიდლოდ დასაცავად ყველამ უნდა გამოვეთ ჩვენი ცხოვრების პატარა მონაკვეთი და უკვდავყოთ ის, რაც ჩვენმა წინაპრებმა მრავალი განსაცდელის გადატანის ფასად შემოგვინახეს, ეს უპირველესად ჩვენი მამული, ენა და სარწმუნოებაა.

რაც შეეხება საკონტრაქტო სამსახურის შემოღებას, მისი შექმნილების შესახებ შეიძლება ჩვენს მკითხველს მომავალში გავუზიარო ჩემი მოსაზრებანი, წინასწარ კი გეტყვით, რომ მრავალრიცხოვანი ჯარის შენახვა წელში გატეხს ჩვენს გაძვალტყავებულ ქვეყანას, მცირერიცხოვანი ჯარი კი გინდგეოლია, გინდ-არა!

რევაზ გრიგალაშვილი



# - ჩვენი ღირსეული თანამემამულენი - ნიკოლოზ დიმიტრის ძე ყიფიანი

(1846-1905)

დიდი საზოგადო მოღვაწის, დიმიტრი ყიფიანის ოჯახმა ბევრი გამოჩენილი ადამიანი აღუზარდა სამშობლოს: ძმისშვილები, შვილები, შვილიშვილები... დიმიტრი ყიფიანის რძლის, ნინო ბეჟანის ასული ტატიშვილის მოგონებების მიხედვით, სწორედ ამ ოჯახის და, კერძოდ, დიმიტრი ყიფიანის დიდი დამსახურებაა მისი საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლა.

დიმიტრი ყიფიანის სამივე შვილმა დიდი წვლილი შეიტანა ჩვენი ქვეყნის კულტურული განვითარების საქმეში. მისი უფროსი ვაჟი, ნიკოლოზ ყიფიანი იურისტი გახლდათ. მომდევნო-კონსტანტინე ყიფიანი, სიცოცხლის ბოლომდე იღვა ქართული თეატრის სცენაზე. უმცროსი-ელენე ყიფიანი ქალთა საზოგადოებას ხელმძღვანელობდა ქუთაისში და რომ არა მისი ხანმოკლე სიცოცხლე, კიდევ დიდხანს იქნებოდა ჩაბმული ქართული საქმის ფერხულში. დღეს, თქვენს ყურადღებას შევაჩერებთ დიმიტრი ყიფიანის უფროსი ვაჟის, ნიკოლოზ ყიფიანის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.



ყველასათვის ცნობილია, რომ ნიკოლოზ დიმიტრის ძე ყიფიანს არ დარჩენია დიდი კრიტიკოსის, მწერლის ან პუბლიცისტის სახელი. თუმცა, შეიძლება ბევრმა არც ის იცოდეს, რომ მისი ბიოგრაფია შეუდარებელი სისხვით გვიხატავს XIX საუკუნის მეორე ნახევრის მოწინავე, დემოკრატიული ინტელიგენციის პროფილს და უაღრესად ნათელ წარმოდგენას იძლევა 60-70-იანი წლების ქართველი ახალგაზრდების მისწრაფებაზე და იდეურ ბრძოლაზე. ნიკოლოზ დიმიტრის ძე ყიფიანი დაიბადა 1846 წ. მისი მამა-დიმიტრი ყიფიანი გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე გახლდათ. დედა-ნინო ჭილაშვილი, უაღრესად განათლებული და კეთილშობილი ქალი, მთელი სიცოცხლის მანძილზე სიყვარულითა და თანადგომით ემსახურებოდა ქმარ-შვილს. მშობლები ხელს უწყობდნენ, შვილებს შესაფერისი განათლება მიეღოთ. როცა კოლა რვა წლისა გახდა, მამამ აღმზრდელ მასწავლებლებად მოუყვანა ფრანგები: „მოსიო გილიარ, მოსიოტურეს, მოსიო ღორეს“, მაგრამ მათ ხელში ბავშვი სწავლისადმი განსაკუთრებულ ინტერესს ვერ იჩენდა და დიმიტრი ყიფიანმა ისინი დაითხოვა. მან თავისი ახლო ნათესავი, ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, მიხაკო ზაალის ძე ყიფიანი, საგანგებოდ მოიწვია ნიკოს აღსაზრდელად. მიხაკი მთლიანად ბავშვი ფართო ცოდნით, ღრმა განათლებით, უბრალოებით, გულის სითბოთი და წესიერებით: „იმისთანა გულისყურით ვუგებდი ყურსა, რომ მე ვერ შევიტყვე საათნახევარი როგორ გავიდა... მე კალთაში მოკვიდე ხელი, - მოიცადე, ჯერ არ წახვიდე, კიდევ მამაზე რამე, კიდევ მასწავლე-მეთქი.“ ნიკო ყიფიანს ამეცადინებდნენ მუსიკაშიც. მას ფორტეპიანოს მისიო სიმონი ასწავლიდა. ხატვას-პოლიდორ ივანის ბაბაყვი, ფრანგულს-კიკამპოა. პატარა კოლას ყველგან ფრანგულად ან რუსულად ელაპარაკებოდნენ. მისი წერილები დედისადმი, შედგენილია ფრანგულად, რუსულად ან ინგლისურად... დიმიტრი შიშობდა, ბავშვს დედაც არ გაუცხოვებოდა და ამაზე თვითონ ზრუნავდა. იგი ოჯახის წევრებს ხშირად უკითხავდა თავის მოთხოვნებს, წერილებსა და თარგმანებს, აჩვენებდა ბავშვებს სერიოზულ, კრიტიკულ მსჯელობას, უფითარებდა ლიტერატურულ გემოვნებას.

1857 წელს ნიკო თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში მიაბარეს. დედას იგი დაჰყავდა იტალიურ ოპერაში, წარმოდგენებზე, ლექციებზე... დიმიტრი ყიფიანის ოჯახში თავს იყრიდნენ იმ პერიოდის მოღვაწე ადამიანები, რომელთა ნახვა მგრძობიარე ბავშვს ათასჯვარი ფიქრითა და ოცნებით ავსებდა, მათი სახლი კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა- სამუდამოდ აღებუტა მის სულს მომხიბვლელი საუბრები ორბელიანისა და პლატონ იოსელიანისა, დაამახსოვრდა გრაფი სოლოგუბი და ვერდერეჟსკი, ბერჟე და ინგლისელი მოგზაური კამერონი, გრაფი დე-როსმარდუკი და ალექსანდრე დიუმა. თვითონაც ხშირი სტუმარი იყო ვახტანგ ორბელიანის ოჯახისა, სადაც თანატოლი და სენია, შემდეგ კი ჭირის მოზიარე ეგულებოდა-ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახისა, რომელიც ნათესავად მოხვდებოდა და, სადაც, მუდამ სიყვარულით ეგებებოდნენ ეკატერინე და ნინო, დავითი და მისი ქალ-ვაჟნი..

პატარაობიდანვე მისი ჭეშმარიტი აღმზრდელები გახდნენ ჩვენი გამოჩენილი სამოციანელები: ანტონ ფურცელაძე, მიხეილ ზაალის ძე ყიფიანი და დავით ქაიხოსროს ძე ყიფიანი. მიუხედავად იმისა, რომ ისინი მასზე შვიდი ათი წლით უფროსები იყვნენ, ამას ხელი არ შეუშლია საერთო საქმისთვის. ისინი მეგობრებიც იყვნენ ნიკოსთვის და სულიერი მოძღვრებიც. 1859 წლიდან, განსაკუთრებით უახლოვდება ანტონ ფურცელაძეს და მისი რევოლუციურ-დემოკრატიული საქმის თანაზიარი ხდება. ასეთმა ურთიერთობებმა ძალიან დიდი გავლენა მოახდინა ყმაწვილი კაცის აზროვნების განვითარებაზე.

1859-1860-იან წლებში ანტონ ფურცელაძემ და მისმა თანამოაზრეებმა ფარული წრე შექმნეს და დაბალი წრეებიდან გამოსულ მეგობრებთან ერთად მასში 13 წლის ნიკო ყიფიანიც გაერთიანდა. (ანტონი დიმიტრი ყიფიანის ბიძაშვილი გახლდათ, დედის მხრიდან, და ამიტომ, ნიკო მას ყველა საქმეში თანაურდობდა.) 1860 წელს ანტონ ფურცელაძემ თოთხმეტი წლის ნიკო ყიფიანს მიუძღვნა ნ. ნეკრასოვის ლექსის- „ოდეს შემესმის კვლავ ბრძოლის ხმა“-თარგმანი, რომელიც შურნალ „ცისკრის მე-11 ნომერში“ დაიბეჭდა.

ყმაწვილ ნიკოზე დიდი გავლენა მოახდინა 1860 წელს პეტერბურგიდან ჩამოსულმა მკვიდრმა ბიძაშვილმა- დავით ყიფიანმა, რომელიც პირადად იცნობდა ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვს, მეგობრობდა მათთან და იყო აგრეთვე ილია ჭავჭავაძის მეგობარი და თანამებრძოლი.

მას შემდეგ, დიმიტრის ძე ყიფიანი და მისმა მეუღლემ ნიკოლოზის აღზრდა დავით ყიფიანს მიანდეს. მას სამსახურის ნებას არ აძლევდნენ და თითქმის მთელ დროს ნიკოსთან ატარებდა. შემდგომ ნიკო ყიფიანი იფიქრებს: „დათიკო ინსტიტუტიდან ახლად ჩამოსული იყო. მე ვიყავი 16 წლისა. მახსოვს ბიძია ქაიხოსრო რა სიხარულით გვიყურებდა, დიდიდან საღამომდე რომ ვწერდით ამ წერილებსა...“

მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების პროცესში ნიკო ძალიან ბევრ ევროპულ წიგნს კითხულობდა. ამათგან ჭაბუკის გული ფრიდრიხ შილერსა და ვიქტორ ჰიუგოს შემოქმედების რევოლუციურ რომანტიკასა და გაფაქიზებულ სულიერ სიწმინდეს მოუხიბლავს. ნიკო ყიფიანმა გამოსცა გიმნაზიის მოსწავლეთა ხელნაწერი ჟურნალი „თაიგული“, რომელმაც სულ მალე საცენზურო კომიტეტის ყურადღება მიიპყრო. 1859 წლიდან ნიკო ყიფიანმა დაიწყო ხალხური ლექსების შეკრება, რომელიც მანვე გამოსცა პირველად. გიმნაზიაში სწავლის დროს შეუდგენია „სოლომონ დოდაშვილის ვრცელი ბიოგრაფია“-ც.

1860-63 წლებში, ნიკო ყიფიანის ინიციატივით, გიმნაზიის წრე, ხშირად აწვობდა ქართულ წარმოდგენებს, რომელთაც უფროსებიც ესწრებოდნენ. დაინტერესებულ ყმაწვილს უკვე გადაკითხული აქვს ასობით წიგნი ლიტერატურისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან, - მის საყვარელ გმირთა გალერეაში უკვე მკაფიოდ არიან გამოქანდაკებული სახეები ბელისკისა, დობროლიუბოვისა და ტურგენევისა, ვიქტორ ჰიუგოსი და გამბეტასი, ჟანა დარკისა და ჟორჟ ზანდისა, შილერისა და ჰაინესი, როშელისა და გარიბალდის. ნიკოლოზ ყიფიანის 1862-63 წლის კერძო წერილები, ბევრ ისეთ რამეს ჰყვებიან შექს, რომელთა პასუხს იმდროინდელ ჟურნალისტიკაში ვერ ვპოულობთ. ამ ბარათებსა და ნიკოლოზ ყიფიანის გამოუქვეყნებელ მოგონებებში დამარწმუნებლად ცხადდება, რა განუზომელი გავლენა ჰქონია ჩვენს საზოგადოებასა და მოსწავლელ ახალგაზრდობაზე რევოლუციურ-დემოკრატიულ მოძრაობას, მოწინავე რუსულ ლიტერატურას. მის მიერ განვლილი გზა, რომელმაც საკმაოდ ნაადრევ ასაკშივე ჩამოუყალიბა ხასიათი და იდეური მრწამსიც, ჯერ მხოლოდ, დასაწყისს წარმოადგენდა.

1862 წელს ნიკო და მისი ძმა-კოტე, მიაბარეს დავით ყიფიანის ახალგაზრდული პანსიონში-ქართული თავისუფალი აღზრდის ამ პირველ ტაძარში.

ეს სასწავლებელი. ილია ჭავჭავაძის წრის თაოსნობით დაარსდა და მისი აღზრდის სისტემას საფუძვლად დაედო რევოლუციონერ-დემოკრატიული პედაგოგიური შეხედულებანი.

პანსიონში პედაგოგებად მოწვეულნი იყვნენ 60-იანელები, - ილიას თანამებრძოლნი. ისტორიას ასწავლიდა ნიკო დოლობერიძე, არითმეტიკას-ბესარიონ დოლობერიძე.

1863 წელს ახალთაობამ დააარსა საკუთარი ბეჭდვითი ორგანო-„საქართველოს მოამბე“. 16 წლის ნიკო ყიფიანი მხურვალედ მონაწილეობდა ჟურნალის ორგანიზაციაში და მრავალმხრივ დახმარებას უწევდა მას.

შემონახულია ფრაგმენტები და რუსული კონსპექტური თარგმანი ნიკოლოზ ყიფიანის პოლემიკური ფელეტონისა, რომელიც „ცისკრის“ წინააღმდეგეაა მიმართული, ეს თხზულება დაწერილია, არაუგვიანეს, 1863 წლის ნოემბრისა. ილია ჭავჭავაძის „სხარტულას“ გავლენით და, როგორც ავტორის განცხადებიდან სჩანს, „საქართველოს მოამბეში“ დასაბუტად ყოფილა მომზადებული. მასში გაკრიტიკებულია ი. კერესელიძის 1862 წლის „სალაყბო ფურცელი“, მისი ავტორის მერყეობა, აგრეთვე, მხილებულია ანტონ ფურცელაძის ტენდენციურობა და უპრინციპობა. ეტყობა, ეს წერილი „საქართველოს მოამბის“ მოულოდნელი დახურვის გამო დარჩა დაუბეჭდავი. ის ფაქტი, რომ ნიკო ყიფიანმა ამ წერილში მისი პირველი პოლიტიკური მოძღვრის, ანტონ ფურცელაძის საწინააღმდეგო აზრი გამოთქვა და „საქართველოს მოამბის“ მხარეზე დადგა, უდაოდ, მის იდეურ სიმტკიცეზე და ობიექტურობაზე მეტყველებს.

დიმიტრი ყიფიანი თვალ-ყურს ადევნებდა შვილის მოძრაობას, პატივს სცემდა მის აზრს და ვაჟს ერთგულ თანამებრძოლად და მესაიდუმლედ თვლიდა. 1863 წელს, როცა მსხვილ მემამულეთა სურვილის წინააღმდეგ დიმიტრი ყიფიანი გუბერნიის მარშლად იქნა დასახელებული, ნიკოლოზიც აქტიურად მონაწილეობდა საარჩევნო ბრძოლაში, ეთათბირებოდა ამ საქმეზე მამას, ესწრებოდა კენჭისყრას და უფრო იმსჯელებოდა „პატრიოციებისადმი“ სიძულვილით.

1864 წელის 13 ივლისს, მშობლების გადაწყვეტილებით, ნიკო ყიფიანი სასწავლებლად პეტერბურგში მიემგზავრება. მას თან მიჰყვება დავით ყიფიანი, რომელმაც ნიკო დააბინავა თავისი ცოლის, ამალია მარკევიჩის მშობლების ოჯახში. პეტერბურგში ცხოვრობდა, ასევე, ნიკოს დედა-ლიზა ნაზაროვა (ჭილაშვილი), რომლის მეუღლე გენერალ-მაიორი გახლდათ. ნიკო ყიფიანი ღვიძლი შვილივით მიიღეს ეკატერინე ჭავჭავაძის ოჯახში. ეკატერინე საყვედურს უთვლიდა დიმიტრის-კოლა იშვიათად გვესტუმრობსო.

პირველმა გამოცდებმა იმედი გაუცრუა. მან მხოლოდ 1867 წელს მოახერხა უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე შესვლა. დიმიტრი ყიფიანი, თითქმის ყოველ წელს, ნახულობდა შვილს პეტერბურგში. იგი კმაყოფილი იყო ნიკოს სწავლითა და ყოფაქცევით. სატახტო ქალაქში მყოფი ნიკოლოზი მეტად თავდაჭერილ ცხოვრებას ეწეოდა. მამას სთხოვდა, ნაკლები ფული გაეგზავნა მისთვის. მამის მიერ გაგზავნილი თანხის დანახოვს, ხშირად, ამხანაგებს აძლევდა.

ახალ შუქზე მშობლიურ კულტურასა და ლიტერატურას ახალი ბრწყინვალეობა ეძლევა ბარათაშვილით მოჯადოებული 1855 წელს მამას სთხოვს, უპასუხო: „ნეტავ ვინ იყო ნიკოლოზ ბარათაშვილი? შენ მგონია იცნობდი, სწავლა სად მიიღო? სამსახურში ყოფილა თუ არა? საზოგადოებაში რა იყო, საზოგადოება როგორ უყურებდა?“ ამ კითხვებზე დიმიტრის ძე ყიფიანი უპასუხა, რომელიც ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფიის ერთ-ერთ უძვირფასეს წყაროს წარმოადგენს. წერილებში ნიკო გულახდილია, მშობლებს არ უმაღავს შეხედულებებს. ნიკო ყიფიანი უსახდრო სიძულვილს გამოხატავს მეფის ხელისუფლებისადმი.

ნიკო ყიფიანი განსაკუთრებულ დევნას განიცდიდა ცენზურისა და ხელისუფლების მხრივ, მაგრამ მისი სტატიები მაინც არ კარგავდნენ პოლიტიკურ სიმწვავეს. ნიკო ყიფიანის პუბლიცისტიკა გამსჭვალულია ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით. მან 1866 წელს ქართულ ენაზე თარგმნა რევოლუციური ჰიმნი „მარსელიოზა“.

ნიკო ყიფიანი მხურვალედ უჭერდა მხარს ხალხთა ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობას და, ამ მხრივაც, 60-იანი წლების ღვიძლი შვილი იყო. მისი იდეალი იყო იტალიის განმათავისუფლებელი ბრძოლის ბელადი-ჯუზეპე



(გაგრძელება)

გარიბალდი. უნდა აღინიშნოს, რომ ნიკოსთან პირველად ვხვდებით გარიბალდის სახელს, როგორც ქართველი კაცის ნაწევრი. თუ სიჭაბუკეში, გიმნაზიური ბიჭი გარიბალდთან მოხალისედ წასვლაზე ოცნებობდა, სიჭარმავეში ბედმა არგუნა დასწრებოდა გარიბალდის ძეგლის გახსნას ნიცაში, რაც დიდი მღელვარებით აღწერა და გამოაქვეყნა.

1868 წლის ზაფხულში, პეტერბურგის პოლიციამ დააპატიმრა ყაზანის უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტი ივანე პენკოვსკი, რომელიც 1865 წელს იყო დასჯილი რევოლუციური მოღვაწეობისათვის. მის ჯიბეში იპოვნეს რამდენიმე საეჭვო წერილი, რომელთა ავტორი იყო არალეგარული, რევოლუციური წრეებთან დაკავშირებული ქალიშვილი-ეკატერინე სოლოდოვნიკოვა. პოლიციამ განხრეკა ეკატერინე და პირველად მის ქალაქში წააწყდნენ ნიკო ყიფიანის რევოლუციური მოღვაწეობის კვალს.

როგორც კი პოლიციას ხელში ჩაგვარდნია ნიკო ყიფიანის წერილი ვ. ჩერქეზიშვილისადმი, რომელშიც საუბარი იყო კავკასიელ სტუდენტთა შეკრებებზე, პოლიცია მაშინვე დასხმია თავს მის ბინას და გაუჩხრეკია. ნიკოსთვის ეს ჩხრეკა მოულოდნელი ყოფილა, რის გამოც, მესამე განყოფილებას ხელში ჩაგვარდნია დიდძალი ნადავლი.

ამის შესახებ მესამე განყოფილების ზამთრის სენებულ მოხსენებაში ნათქვამია: „ყიფიანს ჩხრეკის დროს უპოვნეს: 1. სალაროს წესდება. 2. სია მოსწავლეთა ქართული სალაროს დამფუძნებელი წევრების და იმ წევრების, რომლებიც სალაროს დაარსების შემდეგ იყვნენ შეყვანილი 3. სალაროს იმ წევრთა სია, რომლებიც ესწრებოდნენ მოლარისა და მისი მოადგილის არჩევის დროს. 4. წევრების დეპუტატთა ანგარიში სალაროს მდგომარეობის შესახებ. 5. ყიფიანის წერილი წევრების დეპუტატთა კრებისადმი, იმ ბრალდების გამო, რომ მან დაარღვია მოლარის მოადგილის მოვალეობანი; 6. მოლარე ჯაფარიძის წინადადება სალაროს წევრების და 7. ყიფიანის წერილი მამისადმი, სალაროს მოწყობის ირგვლივ. გარდა ამისა, ნაპოვნია დახეული კონვერტი, რომელზეც სხვა გამოცანებთან ერთად არის შემდეგი: ვინ ახრჩობს ყოველთვის ადამიანებს – მეფე.



ვინ დასცინის ყოველთვის ღარიბებს-ღმერთი. ვინ არიან ყოველთვის ჭკვიანი ადამიანები-ისინი, ვისაც ახრჩობენ და გადასახლებაში გზავნიან; სად იმყოფებიან ყოველთვის კარგი ადამიანები- ციხეში; როდის იქნება უკეთესი ცხოვრება – როცა მეფეები აღარ იქნებიან; ასევე-მარსელიოზას თარგმანი.

ნიკო ყიფიანისა და მისი თანამოაზრეების განხრეკის დროს აღმოჩენილი მთელი მამხილებელი მასალა მესამე განყოფილებამ გადაუგზავნა უმაღლეს კომისიას, რომელიც გულდასმით გაეცნო საქმეს.

1868 წლის 28 სექტემბერს კომისიამ დაადგინა: პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი ნიკოლოზ ყიფიანი, იმავე უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტი ვასილ სუფშინსკი და კოლეგსკი ასესორის ქალიშვილი ეკატერინე სოლოდოვნიკოვა, დაუფონებლივ დააპატიმრებულ იქნან.” საქმეში არის

ცნობა, რომ ეს დადგენილება დაუფონებლივ იქნა სისრულეში მოყვანილი. ნიკო ყიფიანი ჩაუმწყვდევიათ პოლიციის საპატიმრო სახლში როსტოვისკის ქუჩაზე. აიწყო დაპატიმრებულთა უადრესად მძიმე და ხანგრძლივი დაკითხვები. მათი დაკითხვის ოქმიდან ნათლად სჩანს მათი ფიქრები და საზოგადოებრივ-პოლიტიკური იდეალები. თუმცა კი, დაპატიმრებულმა რევოლუციონერებმა ქართველ სტუდენტთა მთავრობის საწინააღმდეგო საქმიანობაზე, მათ საიდუმლო შეკრებებზე, არსებითად არაფერი გაამხილეს. ვ. ჩერქეზიშვილი, რომელიც ახსნა-განმარტებისთვის იქნა გამოძახებული, თავის პასუხებში შეეცადა დაერწმუნებინა კომისია, რომ ქართველ სტუდენტთა შეკრებებს და მათ საიდუმლო სალაროს სრულიად უწყინარი მიზანი ჰქონდა. სახელდობრ: მატერიალური დახმარების გაწევა ღარიბი სტუდენტებისათვის.

ნიკო ყიფიანის დაკითხვა რვა ოქტომბერს დაიწყო. პირველივე დაკითხვაზე მას დაუსვეს ჩვიდმეტი ვრცელი კითხვა. პირველი კითხვა ნიკო ყიფიანის ოჯახის ვინაობის გარკვევას ეხებოდა. პასუხიდან სჩანს, რომ ნიკოლოზი 22 წლისა ყოფილა. პეტერბურგში იყო ოთხი წლის ჩასული. ორი წელი უნივერსიტეტში შესასვლელად ემზადებოდა. ორი წელი კი სტუდენტი ყოფილა. მამამისი-ცნობილი სახ. მოღვაწე დიმიტრი ყიფიანი-იმ დროს, კვლავ, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი ყოფილა. უმცროსი ძმა კოტეცხოვრობდა მოსკოვში და ემზადებოდა უნივერსიტეტში შესასვლელად. მეორე კითხვიდან ირკვევა, რომ ნიკო ყიფიანი ცხოვრობდა ბიძაშვილის, დავით ყიფიანის ნათესავეებთან. მესამე კითხვით აინტერესებთ მისი ნაცნობები პეტერბურგში. ნიკო პასუხობს, რომ აქ იცნობს მხოლოდ თავისი მიწა-წყლის ხალხს, სტუდენტებს და ყოფილ სტუდენტებს. ნიკო ყიფიანი შეგნებულად არ ასახელებს სიმონ წერეთელს და დავით ღოღობერიძეს. შემდეგი კითხვები ეხებოდა სალაროს და სხვადასხვა ურთიერთობების გამორკვევას. მათვე კითხვა იყო შემდეგი: „ვინ თარგმნა და რა მიზნით „ლაკლავი“-ს 1864 1-ლი ნოემბრის № 50-დან სტატია „ნიკოლოზ გაბრიელის ძე ჩერნიშევსკი“. სად და რა გზით

## ნიკოლოზ დიმიტრის ძე ყიფიანი

იყო ნაშოენი „კოლოკოლის“ ეს ფურცელი?“ ნიკო ყიფიანმა არ უარყო, რომ ეს თვითონ თარგმნა, (თუმცა თარგმანი უსუსური იყო). „კოლოკოლის“ ფურცლის შოენა კი დააბრალა გარდაცვლილ მეგობარს. მეთოთხმეტე კითხვაც მის მიერ სოციალისტ-რევოლუციონერების სენ-სიმონის რომელიმე ნაშრომიდან რუსულ თარგმანს ეხებოდა. ეს კითხვა ისე იყო დასმული, რომ უთუოდ იცოდნენ სიმართლე, ამიტომ ნიკო ყიფიანს ეს არ უარყვია, მხოლოდ დასძინა, რომ ეს გააკეთა ვარჯიშისთვის. ნიკო ყიფიანი ყველანაირად ცდილობს მიკიბულ-მოკიბულად და გამოგონილი ამბებით შეარბილოს კითხვების სიმძიმე. სტუდენტთა საიდუმლო ორგანიზაციის შექმნის ინიციატორის როლი ნიკო ყიფიანმა თავის თავზე აიღო. მან არ დაასახელა ნამდვილი ინიციატორები.

ნიკო ყიფიანისა და მისი რუსი მეგობრების დაპატიმრებას პეტერბურგში გარკვეული შთაბეჭდილება მოუხდენია. დატრიალებულან ნაცნობები და ნათესავეები. მათ შორის ნიკოს მამის, დიმიტრი ყიფიანის გავლენიანი მეგობრები. ნიკომ ციხიდან დეიდასაც სთხოვა დახმარება. ამრიგად, გავლენიანი პირების დახმარებითა და თავდებობით ნიკო ყიფიანი 1868 წ. 10 ოქტომბერს გაათავისუფლეს იმ პირობით, რომ დედაქალაქიდან არ გასულიყო. მისი საქმის

გამოძიება კვლავ გრძელდებოდა. გამოძინარე იქიდან, რომ ჩხრეკის დროს ნაპოვნ ფურცლებზე ზოგი რამ საეჭვო იყო, იგი 21 ნოემბერს კვლავ დააბარეს უმაღლეს კომისიაში განმეორებით დასაკითხად. ნიკო ყიფიანი ამჯერადაც იოლად გადაურჩა ცარიზმის მესვეურთ: „4. ყიფიანს-მხედველობაში ვიღებთ რა იმას, რომ მან საესვებით და გულწრფელად აღიარა და მოინანია დანაშაული, აგრეთვე იმას, რომ არ აღმოჩნდა, რომ მისი ინიციატივით, მთავრობის ნებართვის გარეშე შექმნილი „ქართული სალარო“ ისახავდა რაიმე დანაშაულურივ მიზანს-კომისიის დასწრებით გამოცხადდეს უსასტიკესი გაკიცხვა ხელწერილის ჩამორთმევით, რომ მომავალში თავს ნებას არ მისცემს ჩაიდინოს არავითარი კანონის საწინააღმდეგო მოქმედება და, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში აუცილებლად დასჯილ იქნება. ამასთანავე, ყიფიანზე დაწესებული ზედამხედველობა შეიცვალოს დროებითი, საიდუმლო მეთვალყურეობით.“

მისი იოლად გადარჩენის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ საგამომძიებლო კომისიამ ვერ მოახერხა იურიდიულად დამტკიცებინა ნიკო ყიფიანისთვის წაყენებული მთავარი ბრალდებები. და ბოლოს, გამოძიების მსვლელობაზე უთუოდ დიდი გავლენა მოახდინა დიმიტრი ყიფიანმა და მისმა სამეგობრომ. დიმიტრი ყიფიანს იმ პერიოდში თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლის პოსტი ეჭირა და კარგ განწყობილებაში იყო მეფის ძმასთან, მიხეილთან, რომელიც მაშინ, როგორც მეფისნაცვალთა კავკასიაში, თბილისში იმყოფებოდა. თვით მეფე, ალექსანდრე II, ძალიან ნასიამოვნები იყო, იმ ხანებში, დიმიტრი ყიფიანის მოღვაწეობით. ჯერ კიდევ 1866 წლის 29 ნოემბერს, მეფეს პირადად მიუღია დ. ყიფიანი და მადლობა გადაუხდია მისთვის და ქართველ თავადაზნაურობისთვის გლეხთა გათავისუფლების საქმეში კარგი მოქმედებისათვის.

1868 წლის მიწურულს, ნიკო ყიფიანს დააწერინეს ხელწერილი, სადაც პირობას დებდა, რომ მომავალში მონაწილეობას არ მიიღებდა კანონსაწინააღმდეგო მოქმედებაში. ამ წერილიდან სამ თვესაც არ გაუვლია, რომ პეტერბურგში იფეთქა სტუდენტთა ახალმა მღელვარებამ. მღელვარების დაწყებისთანავე ნიკო ყიფიანმა დაივიწყა მთავრობისთვის მიცემული ხელწერილი და თავის მეგობრებთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღო სტუდენტთა გამოსვლებში.

მის გამო ნიკო კვლავ დააპატიმრეს. აღარაფერმა აღარ გაჭრა... საბრალდებო დასკვნაში ჩაწერეს: ეწეოდა პროპაგანდას დაბალი წოდების ხალხში, უმთავრესად იმ მიზნით, რომ დამახინჯებულად წარმოედგინა გლეხთა მდგომარეობა და გამოეწვია გაუგებრობა და არეულობა 1870 წლის დადგომასთან დაკავშირებით. როგორც მძიმე დამნაშავე, იგი უნივერსიტეტიდან გარიცხეს, სწავლის უფლება აღუკვეცეს და ადმინისტრაციული წესით, პოლიციის თანხლებით საქართველოში გამოაგზავნეს. ბევრს ეცადა შემდეგ დიმიტრი, რომ შვილისთვის სწავლის გაგრძელების უფლება მიეცათ ოდესაში ან ხარკოვში, მაგრამ ამაოდ.

ნიკო ყიფიანს საქართველოში დაბრუნების შემდეგაც ჰქონდა სურვილი, ბრძოლა განეგრძო, მაგრამ ხელისუფალთა მხრიდან ოჯახის წევრებისა და განსაკუთრებით მამის მდგომარეობამ აიძულა თავი შეეკავებინა. „როდესაც დაებრუნდი პეტერბურგიდან, -წერს იგი,- ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, დამაბრუნეს პეტერბურგის უნივერსიტეტიდან, ჩემი მოსვლა, ან უკეთ რომ ვთქვათ, ჩემი მოყვანა თბილისში, მიხაკომ შეატყობინა მამაჩემს. მამაჩემთან და მიხაკოსთან საუბრებმა გადაამყენა იმ გზიდან, რომელსაც სტუდენტობაში დავადექი და რომელსაც შეეძლო, ძალიან შორს და ძალიან მოშორებულადაც წავეყვებინა.“ პეტერბურგელ ამხანაგებთან კავშირი ნიკო ყიფიანს მაინც არ გაუწყვეტია. 1869 წლის 11 სექტემბერს იგი გ. ნაცვლიშვილს სწერდა: „ჩემი ანდერძის ამსრულებლად, რაც მე პოლიციამ პეტერბურგში სიცოცხლე მომისპო, დარჩი შენ.. უპირველეს ყოვლისა, „სოვრემენიკი“, თუ რამე წმინდა გაგაჩნიათ ამ ქვეყნად, შემიძახეთ, შეაგროვეთ ყდაში ჩასვით, განსაკუთრებით ჩერნიშევსკის სტატიები...“

პოლიტიკურმა დევნამ, იმედების დამსხვრევამ და დაპატიმრებებმა ნიკო ყიფიანს უკურნებელი სულიერი ტრამვა მიაყენა. ამით შეიძლება ავსხნათ, რომ მან მისი შესაფერი კვალი ვეღარ დააჩნია ჩვენს ლიტერატურასა და საზოგადოებრივ ცხოვრებას. მთელი სიცოცხლის მანძილზე, როგორც თვითონ, ასევე მისი ოჯახიც გაძლიერებული მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. თანამდებობაზე ან ბეჭდითი ორგანოს დაარსებაზე, ფიქრიც არ შეეძლო. ათი წლის შემდეგ, როდესაც ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის მზრუნველთა საბჭოს წევრად აირჩიეს, პოლიციის სამმართველომ ეს ქვეყნის დაქვევად მიიჩნია. იმერი ყიფიანს ურჩევდნენ დაერწმუნებია ნიკო ყიფიანი, რომ ნებაყოფლობით უარი განეცხადებია აღნიშნულ სამსახურზე. ნიკო ყიფიანისთვის ეს არ იყო ადვილი გადასატანი. თითქმის ორი წელი, (1869-1871) ნიკო უსამსახუროდ იყო. მეტწილად ქვიშხეთში ცხოვრობდა და ხშირად ავადმყოფობდა.

1871 წელს, ორლოვსკისა და ნიკო ჭავჭავაძის შუამდგომლობით, მას და მასთან ერთად უნივერსიტეტიდან გარიცხულ ნიკოლოზ ვახტანგის ძე ორბელიანს კერძო ადვოკატობის ნება მისცეს. საზღვარგარეთ წასვლამდე იგი მხოლოდ ამ ხელობას ეწეოდა და კეთილსინდისიერი ვექილის სახელიც ჰქონდა მოხვეჭილი. საქმეს ისე არ მოჰკიდებდა ხელს, თუ ბრალდებულის უდანაშაულობაში არ იყო დარწმუნებული. ადვოკატობა ხელს უწყობდა ემოგზაურა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, გაცნობოდა ხალხის ცხოვრებას და გამოეტანა დასკვნები. ნიკო ყიფიანი ისევ აქტიურად ჩაება ქართულ საზოგადოებრივ-ლიტერატურულ საქმიანობაში. 1879 წელს ქვიშხეთში მან უფასო სახალხო სასწავლებელი გახსნა და გლეხის ბავშვებს ქართულ წერა-კითხვას ასწავლიდა. ყოველივე ეს კარგადაა გადმოცემული მის პედაგოგიური ხასიათის ნაწარმოებში „მიხეილ ზაალის ძე ყიფიანი.“

(დასასრული შემდეგ ნომერში)



### როინ მახარობლიძე: ჩვენ ალებულ გეზს არ ვიცვლით...

ბოლო დროს საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარი მოვლენები „პოლიტიკურ გაყრად“ უკვე მონათლეს. ყოფილ სახელისუფლო პარტიას – „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას ლიდერთა“ მთელი რიგი გაემიჯნა. 12 იანვარს, ბრიფინგზე, განცხადება პარტიიდან გასვლის შესახებ 38 რაიონული და საქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელმა ოფიციალურად გააკეთა. როგორც ჩანს, საქართველოს პარლამენტში „ნაციონალური მოძრაობის“ სიით გასული 27 დეპუტატიდან, 21, ახალი პოლიტიკური პარტიის რიგებიდან გააგრძელებს ბრძოლას.

ჩვენთვის საინტერესო კითხვებით ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ხაშურის რაიონალური ორგანიზაციის თავჯდომარეს როინ მახარობლიძეს მივმართეთ, რომელმაც პარტიის მყარი პოზიცია დააფიქსირა და განაცხადა, რომ პარტიასთან ერთად ხაშურის რაიონული ორგანიზაციაც არ შეცვლის ალებულ გეზს და გაორმაგებული ძალებით გააგრძელებს მუშაობას.

როინ მახარობლიძე: ერთიანი ნაციონალური მოძრაობა მართლაც დატოვეს პარტიის ლიდერმა წევრებმა, თუმცა ეს მათი იურიდიული უფლებაა, მათი წასვლა სულაც არ ნიშნავს პარტიის დასუსტებას, პირიქით, შემდგომ კიდევ უფრო მეტად გაძლიერდება. მიზეზებზე, თუ რატომ დატოვეს მათ პარტია, გადაჭრით ვერ ვისაუბრებ, თუმცა პარტიის ვცემ მათ გადაწყვეტილებას, გამომდინარე იქიდან, რომ მათ რიგებში ბევრი ღირსეული წარმომადგენელია და უმეტესობა ჩემი მეგობარია. აქტიურად ვემზადებით 20 იანვარს ჩანიშნული ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ყრილობისათვის (საუბარი 16 იანვარსაა ჩაწერილი. თ.ა.) პარტიის მემუიდე ყრილობაზე 4000 დელეგატს შორის ხაშურიდან 87 დელეგატი იქნება, სადაც არჩეული იქნება ახალი მმართველი ორგანოები, პოლიტიკური საბჭო, შემუშავდება ამ საბჭოს შექმნის წესი, ასევე არჩეულ იქნება პოლიტსაბჭოს თავჯდომარე, როგორც იცით, მოქმედი თავჯდომარე დავით ბაქრაძე პარტიიდან წავიდა.

ნაციონალური მოძრაობის რიგებიდან პარტიის წევრებისა და მხარდამკერების ასეთი მრავალრიცხოვანი რაოდენობით წასვლის პრცედენტი ჯერ არ მომხდარა, თუ არ ჩავთვლით 2015 წელს, როდესაც ყოფილ სახელისუფლო პარტიას აღმასრულებელი მდივანი და დეპუტატი ზურაბ ჯაფარიძე გაემიჯნა რომელმაც დამატებით სამ დეპუტატთან ერთად ახალი პოლიტიკური ორგანიზაცია „გირჩი“ შექმნა, ხოლო, ერთი წლის უკან დეპუტატმა გიორგი ვაშაძემ, ანალოგიურად, პარტია დააფუძნა „ახალი საქართველო“.

### გაცრეცილი ფოტოები

ვაგრძელებთ რუბრიკას „გაცრეცილი ფოტოები“ და დღეს ორ საინტერესო ფოტოს ვთავაზობთ მკითხველს. ეს ფოტოები ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფოტოგრაფიის ფონდშია დაცული და ჩვენი მუნიციპალიტეტის ისტორიის ნაწილს წარმოადგენს.

ზემო ფოტოზე ხაშურის რკინიგზის ორკლასიანი სასწავლებლის მოსწავლეები და პედაგოგები არიან. ფოტო მე-20 საუკუნის დასაწყისშია გადაღებული. თუ მოსწავლეთა ასაკით (ვიზუალური დათვალიერებით) ვიმსჯელებთ,



ერთ კლასში, როგორც ჩანს, აუცილებელი არ იყო თანაბარი ასაკის მოსწავლეები ყოფილიყვნენ, რადგან სურათზე ჩანს როგორც, სავარაუდოდ, 9-10 წლის ემაწვილები, ასევე 15-16 წლის მოზარდებიც. სხვათაშორის, 1918 წელს ეს სასწავლებელი გაუქმდა და მის ბაზაზე სამი სკოლა შეიქმნა: 1. რკინიგზის №1 სკოლა (დღევანდელი მე-7 საჯარო სკოლა); 2. რკინიგზის №2 სკოლა (დღევანდელი მე-6 საჯარო სკოლა); 3. რკინიგზის №3 სკოლა, რომელიც სულ ჩქარა შეუერთდა რკინიგზის №1 სკოლას.

მეორე ფოტოც წინა საუკუნის დასაწყისშია გადაღებული. მასზე ნიკოლოზ აბაზაძის (ცნობილი ეთნოგრაფი) ოჯახია. სურათი სურამში, ზინდისის უბანშია გადაღებული. ამ შენობაში დღეს ღვთისმშობლის მუზეუმი განთავსებული.



(დასასრული)

შესახებაც სკოლების მიერ წარმოდგენილი იქნა ანგარიშები. ანგარიშებისა და წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ 16 სკოლის მიერ სრულად იყო შესრულებული ყველა რეკომენდაცია მხოლოდ 4 სკოლის მიერ ვერ განხორციელდა მიცემული რეკომენდაციის სრულად შესრულება. კერძოდ, 2 სკოლის შემთხვევაში არ განხორციელდა სკოლების კვების ბლოკით უზრუნველყოფა და ორი სკოლის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტში

### ხაშურის საგანმანათლებლო ხესუსენსიხის 2016 წლის ანგარიში განუეი მუშაობის შესახებ

სათანადო სპეციალისტის არ არსებობის გამო, ვერ გაკეთდა სკოლის შენობა-ნაგებობის პასპორტები.

- სასკოლო სახელმძღვანელოებით მოსწავლეების უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში, რესურსცენტრის ხელშეწყობით და ორგანიზებით, განხორციელდა საჯარო სკოლებიდან 4934 სახელმძღვანელოს მიღება და სხვადასხვა საჯარო სკოლაზე გადასაწვდობა. გარდა ამისა, სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოდან მიღებული 16609 სახელმძღვანელოსა და რეგულირების საჯარო სკოლებზე განაწილება, ნაშთების აღრიცხვა და ხსენებულ სააგენტოზე გადაცემა.
- რესურსცენტრის მიერ განხორციელდა სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული 16 საჯარო სკოლის „საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში“ იდენტიფიცირება, წლის განმავლობაში მონიტორინგის განხორციელება და ყოველთვიურად, შესაბამისი



ინფორმაციის სამინისტროსთვის მიწოდება.

- რესურსცენტრის ორგანიზებით, 2016-2017 სასწავლო წლის დასაწყისისთვის დროულად გაიცა 707 პირველკლასელებისთვის განკუთვნილი პორტაბელური კომპიუტერები „ჩემი პირველი კომპიუტერის“ პროგრამის ფარგლებში.
- რესურსცენტრის ხელშეწყობით განხორციელდა 32 საჯარო სკოლაში პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის განხორციელების ხელშეწყობა.
- ექსტერნის გამოცდების ორგანიზებული ჩატარებისათვის რესურსცენტრის მიერ განხორციელდა გამოცდების შესახებ შესაბამისი პირების დროული ინფორმირება, 400-ზე მეტი ექსტერნის რეგისტრაცია, სამართლებრივი აქტების და სხვა დოკუმენტაციის მომზადება და მონიტორინგი საგანმანათლებლო პროცესზე.
- რესურსცენტრის მიერ განხორციელდა 2015-2016 სასწავლო წლის მე-12 კლასის კურსდამთავრებულთა შესახებ ინფორმაციის მოგროვება, დამუშავება, ელექტრონული ბაზის შექმნა და მიწოდება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისათვის.
- რესურსცენტრის მიერ განხორციელდა წარჩინებული კურსდამთავრებულის (ოქროს და ვერცხლის მედლის კანდიდატთა) და „ჩემი პირველი კომპიუტერის“ პროგრამის ფარგლებში წარჩინებით საბაზო საფეხურდამთავრებული მოსწავლეების შესახებ ინფორმაციის მოგროვება, გადამოწმება და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის მიწოდება.
- რესურსცენტრის ორგანიზებით განხორციელდა სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ “მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა“-ში ჩართული საჯარო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებლების შეფასების ჯგუფების, ფასილიტატორების და სხვა ტრენინგების და აქტივობების განხორციელების ხელშეწყობა რესურსცენტრისათვის დაკისრებული მოვალეობის ფარგლებში
- რესურსცენტრის მიერ განხორციელდა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით, განსაზღვრული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სოციალური პროგრამის ფარგლებში, სტუდენტების სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების მიზნით, სტუდენტთა რეგისტრაცია და განაცხადების განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის მიწოდება.
- რესურსცენტრის ხელშეწყობით განხორციელდა ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის პირველი და მეორე ტურის ორგანიზებულად ჩატარება.
- რესურსცენტრის მიერ, თანამშრომელთა პროფესიული განვითარების მიზნით, სკოლის დირექტორებისთვის განხორციელდა 4 ტრენინგი ზოგადი განათლების საკანონმდებლო აქტებთან და პრაქტიკული საჭიროების შესაბამისად, კანონქვემდებარე აქტებით გათვალისწინებულ აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით (ზოგადი განათლების შესახებ კანონი, ეროვნული სასწავლო გეგმა, შესყიდვების შესახებ კანონმდებლობა და სხვ.)
- რესურსცენტრის მიერ, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან (მის სამსახურებთან) თანამშრომლობით, ერთობლივი ინიციატივების საფუძველზე, განხორციელდა საჯარო სკოლებისთვის წამახალისებელი პროექტების/ აქტივობების ორგანიზება. (ინტელექტუალური შეჯიბრი “რა, სად, როდის; მხიარულთა და საზრიანთა კლუბების შეჯიბრი (მსკ); პირველკლასელების ღონისძიება “ცოდნის კარიბჭესთან“ და სხვ.)
- რესურსცენტრის მიერ სისტემატურად ხორციელდებოდა კონსულტაციების გაწევა დაინტერესებული პირებისთვის (მოქალაქეებისთვის) სხვადასხვა საგანმანათლებლო საკითხზე (როგორებიცაა, ეროვნული გამოცდები, გამოსაშვები გამოცდები, სასერტიფიკაციო გამოცდები, ექსტერნის გამოცდები და სხვ.)

ზვიად გოგუაძე,  
ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი



### რკინიგზელთა მფარველი ხატი ყველა რკინიგზელთა ოჯახებს იცავს

საქართველოს პროფკავშირის მიერ 2016 წელს განხორციელებული აქტივობების შესახებ გასულ ნომერში უკვე ვიამბეთ. ამ წერილში კი ერთ სასიამოვნო ინფორმაციას მოგაწვდით: დაიწერა რკინიგზელთა და მათი ოჯახების მფარველი ხატი, რომლის შექმნაზედაც საქართველოს რკინიგზელთა პროფესიული კავშირის გამგეობის რწმუნებულმა ხაშურის რაიონ-



ში მიღერი ღომიძემ ისაუბრა.

მიღერი ღომიძე: საქართველოს რკინიგზელთა პროფკავშირისა და უშუალოდ მისი თავჯდომარის ზურაბ ნასარაიას ინიციატივით დაიწერა რკინიგზელთა და მათი ოჯახების მფარველი ხატი, რომლის ავტორია



– ხატმწერი დავით ხიდაშელი. 2014 წლის 5 ოქტომბერს, რკინიგზელთა დღესთან დაკავშირებით, ხატი საქართველოს კათალიკოს პატრიარქმა ილია II აკურთხა. შემდგომში გაკეთდა ხატის პატარა ასლები და საეკლესიო კალენდრები, რომლებიც უსასყიდლოდ დაეურიგეთ რკინიგზელთა ოჯახებს. ხოლო, ენერგომომარაგების სამმართველოს ხელშეწყობით ხატი რკინიგზის გადასასვლელი ხიდის ჩრდილოეთ ნაწილშია დაბრძანებული პედესტალზე. დავამატებ ერთსაც, ხატი იმითაც არის უნიკალური, რომ ანალოგი არ აქვს მასზე, ერთდროულად, სამი წმინდანია გამოსახული: ღვთისმშობელი, წმინდან ნიკოლოზი და წმინდა გიორგი. 2015 წელს პროფკავშირის ინიციატივით, ხატი ჩამობრძანებული იქნა ხაშურში, მეუფის ბრძანებით დაბრძანდა საკათედრო დარბაზში, დაილოცა ხაშურში დასაქმებული რკინიგზელები და მათი ოჯახები. რკინიგზელთა მფარველი ხატით მოილოცა, ასევე, უღელტეხილის კვანძზე არსებული რკინიგზის ყველა დაწესებულება.

რკინიგზელთა მფარველ ხატს თან ახლავს ლოცვა: ყოველად წმიდაო დედაო ღვთისაო, წმიდაო ნიკოლოზ, წმიდაო გიორგი, მრავალმოწყალებისაი და მადლისაი კალთაი გადმოაფარეთ სრულიად საქართველოს, მოჰმადლემ მშვიდობაი და გზასა ჭეშმარიტებისასა ზედა დაადგინე ყოველნი სასოებით მედრებულნი წინაშე თქვენდა და მეოხ ყვაოთ ყოველთა კეთილად შემომწირველთა რკინიგზელთა და ოჯახთა და მათთა უკუნიით უკუნისამდე ამინ!

### ესმა ონიანი - დიდი შემოქმედი, რომელიც ახლა ხდება ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი

2017 წელი ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკაში დიდი სტუმრიანობით დაიწყო. 13 იანვარს, გამომცემლობა “ინტელექტის” ორგანიზებითა და მხარდაჭერით, მოეწყო შეხვედრა რუსთაველის თეატრის მსახიობ ნინო კასრაძესთან, რომელმაც ისაუბრა ქართველი საზოგადოებისთვის ნაკლებად



ცნობილ ავტორზე, მხატვარზე-ესმა ონიანზე. ქალბატონი ნინო მსახიობის ოსტატობით მოგვიყვანა ესმა ონიანის ცხოვრების, შემოქმედების შესახებ. პრობლემებზე, რომელმაც ესმა ონიანის გენიალური შემოქმედება, მხოლოდ მკითხველთა მცირე ნაწილისთვის გახადა ხელმისაწვდომი, სისტემაზე, რომელმაც მის ფილოსოფიურ და თავისუფლებით სავსე პოეზიას, ნააზრევს ერთგვარად ტაბუ დაადო. წაიკითხა ლექსები, სადაც პოეტის პირადი ემოციები, გრძობები არაამქვეყნიურ, ტრასცენდენტულ ასპექტშია წარმოდგენილი. მსმენელს შესაძლებლობა მიეცა ეხილა მონოსპექტაკლი, სადაც ერთი მსახიობი ქალი საუბრობდა ქალზე, რომელიც საკუთარ თავს არც კი უწოდებდა ქალ-პოეტს, რადგან მისი მსოფლმხედველობა უფრო ახლოს იყო მამაკაცის მსოფლმხედველობასთან.

შეხვედრას ესწრებოდა ესმა ონიანის და-ირინა ონიანი, რომელმაც ბიბლიოთეკას სამახსოვრო საჩუქარი გადასცა. გაიმართა წიგნების გამოფენა-გაყიდვაც.

გამომცემლობა “ინტელექტი” და ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა სამომავლოდაც უამრავი კარგი შეხვედრის ორგანიზებას გეპირდებიან.

### რეკორდსმენი გოგრა

გენესის რეკორდების წიგნში, ყველანაირ რეკორდებთან ერთად, გიგანტური გოგრის წონაცაა დაფიქსირებული. თუ არ ვცდებით, კალიფორნიელმა ფერმერმა მოიწია და მსოფლიო მართლაც გააოცა გოგრის მასშტაბითა და წონით. იმას ჩვენ ვერასოდეს გავიგებთ, იმ ფერმერმა რა ორგანული ან არაორგანული სასუქი გამოიყენა რეკორდსმენი გოგრის “გასაგიგანტებლად”, მაგრამ ნამდვილად შეგვიძლია ვითხრათ, რომ გოგრას, რომელიც ხაშურში, ჯუმბერ ქურდაძის ეზოში მოვიდა, აბსოლუტურად არანაირი სასუქი არ ურევია და მისი წონა 36 კილოგრამია. საოცარია, რომ იგი ბატონმა ჯუმბერმა ხეივანს ააყოლა და მართლაც საინტერესო სანახაო იყო ყურძნის მტევნებს შორის “გადმოკვახებულნი” ეს უღამაზესი, მზისფერი გიგანტიც, რომელსაც მაჯისსიმსო მხოლოდ ყუნწი ჰქონდა. ჩვენ სოფლის მეურნეობის სპეციალისტებსაც დავეკითხეთ და მათაც დაგვიდასტურეს, რომ ჩვენს მუნიციპალიტეტში უფრო დიდი ზომის გოგრა არ დაფიქსირებულა.



მკითხველისათვის რომ უფრო ნათელი გამხდარიყო გოგრის მოცულობა, ჩვეულებრივი, ქართული, ოთხკილოგრამიანი გოგრაც დაუდეთ გვერდით და “საზეიმო” სურათიც ისე გადავიდეთ. სხვათაშორის, სურათზე გამოსახული მეორე გოგრაც არაა პატარა-იგი 26 კგ-ს იწონის.

„ხაშურის მოამბის“ რედაქციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნანა ბანცაძეს მამის ბონდოს გარდაცვალების გამო.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27. E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499. P-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.



